პროგრამა მაიკროსისა და ოპერის ინტეგრაცია ბალანსთან



ზოგადი აღწერა

აღნიშნული დამუშავებით პროგრამა ბალანსში შესაძლებელია Opera და Micros-დან დაგენერირებული რეალიზაციების და გადახდების ექსელის ფაილის შეტვირთვა და დოკუმენტების ავტომატური შექმნა.

დამუშავების ვიზუალი:



დამუშავებას აქვს სამი ჩანართი:

- **ოპერას რეალიზაციები** - Opera-დან ექელის ფაილში ამოღებული რეალიზაციების შესატვირთად.
- **მაიკროსის რეალიზაციები -** Micros-დან ექელის ფაილში ამოღებული რეალიზაციების შესატვირთად.
- **გადახდები -** Opera-დან ექელის ფაილში ამოღებული გადახდების შესატვირთად.

თითოეულ ჩანართს აქვს 3 ღილაკი:

- **ჩატვირთვა**; აღნიშნული ღილაკზე დაჭერით პროგრამა წინასწარ გაწერილი ლოგიკებით ქმნის დოკუმენტებს.
- **შევსების კონტროლი**, მოწმდება ყველა საჭირო ცნობარი დოკუმენტის შესაქმნელად რამდენად არსებობს ბაზაში. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ცნობარი არ არსებობს ბაზაში, დამუშავება გააწითლებს და დააგენერირებს შესაბამის შეტყობინებას;
- **ცხრილის ჩატვირთვა ფაილიდან,** ღილაკით შესაძლებელია ფაილის ასარჩევ ფორმაზე გასვლა

დამუშავებას მარჯვენა ნაწილში გამოჩნდება დამუშავებით შექმნილი დოკუმენტები. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული დოკუმენტების გახსნა.

განვიხილოთ თითოეული ჩანართი:

მაიკროსის რეალიზაციები



ექსელში არსებული ინფორმაციიდან პროგრამისთვის რელევანტურია შემდეგი მონაცემები:

EXCEL	ბალანსი
Date close check	ტრანზაქციის გატარების თარიღი;
Menu Item	პროდუქციის უნიკალური კოდი, რომლითაც ბალანსში მოხდება პროდუქციის მოძებნა.
Count	რაოდენობა
Price	ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)
Item Discount	თანხობრივი ფასდაკლება ერთი ჩეკის ჭრილში თუ item discount და price ერთმანეთის ტოლია, ბალანსში შეიქმნება „პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის“ დოკუმენტი ტიპით მიწოდება კომპენსაციის გარეშე.

Check sequences	ჩეკის ნომერი რომელიც გადაყვება ბალანსში „პირველადი დოკუმენტის“ რეკვიზიტად. აღნიშნული რეკვიზიტის ჭრილში ერთიანდება მონაცემები და იქმნება 1 დოკუმენტი
Tender name	იმ შემთხვევაში თუ მოცემულ სვეტში არსებობს მნიშვნელობა „Room Charge“, დამუშავებამ რეალიზაციის დოკუმენტი მაიკროსის საცალო მყიდველზე არ უნდა გაატაროს. მოცემული მნიშვნელობის არსებობის შემთხვევაში დამუშავებამ რეალიზაცია უნდა შექმნას პროგრამაში წინასწარ დამატებულ მყიდველზე რომელსაც გააქტიურებული ექნება ალამი „Room Charge“.

დამუშავება შექმნის **„პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის“** დოკუმენტს. დოკუმენტში მყიდველი და საწყობი შეივსება წინასწარ განსაზღვრული ლოგიკით. აღნიშნული დოკუმენტშვე ხდება პროდუქციის წარმოებაც და რეალიზაციაც. საწარმოებელი პროდუქცია წინასწარ უნდა იყოს პროგრამაში დამატებული და გაწერილი უნდა ქონდეს ძირითადი რეცეპტი, რომლის მიხედვითაც უნდა აწარმოოს პროგრამამ.

ბალანსი მონაცემების დუბლირების თავიდან ასაცილებლად გააკონტროლებს check sequence მითითებული კოდით იდენტურ პერიდში არსებულ დოკუმენტებს, იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღში არსებობს იგივე check sequence კოდი, დამუშავება არ შექმნის დამატებით დოკუმენტს და დააგენერირებს შესაბამის შეტყობინებას.

ოპერას რეალიზაციები



ექსელში არსებული ინფორმაციიდან პროგრამისთვის რელევანტურია შემდეგი მონაცემები:

N	EXCEL	ბალანსში
1	Transaction Date (Business Date)	ტრანზაქციის გატარების თარიღი
2	Transaction Code	კოდი რომელიც გაიწერება ბალანსში არტიკულ კოდში მომსახურების ნომენკლატურის იდენტიფიცირებისთვის
3	Folio Sequence Number (internal, unique)	ნომერი, რომელიც გადაყვება ბალანსში „პირველადი დოკუმენტის“ რეკვიზიტად. აღნიშნული რეკვიზიტის ჭრილში ერთიანდება მონაცემები და იქმენაბა 1 დოკუმენტი
4	Reservation Confirmation Number (unique)	ჯავშნის უნიკალური ნომერი, რომელიც ბალანსში რეალიზაციის დოკუმენტს უნდა გადაყვეს ინფორმაციულად
5	Payer AR Number	გადამხდელის იდენთიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
6	Guest AR Number	სტუმრის იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
7	Guest Profile Number (internal, unique)	გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ Guest AR Number არ არსებობს მყიდველისთვის.
8	Travel Agent AR Number	სააგენტოს იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
9	Company AR Number	კომპანიის იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად

10	Source AR Number	მყიდველის წყაროს იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
11	Transaction Amount	ოპერაციის თანხა დღგ-ს ჩათვლით
12	Original Rate Code	იმ შემთხვევაში თუ Original Rate Code მოცემული იქნება comp მნიშვნელობა, ბალანსში ჩაწერილი სტატუსით შეიქმნება რეალიზაციის დოკუმენტი, ტიპით „მიწოდება კომპენსაციის გარეშე“ 0-ის ტოლი თანხით.

გადახდები



ექსელში არსებული ინფორმაციიდან პროგრამისთვის რელევანტურია შემდეგი მონაცემები:

N	Excel	ბალანსი
1	Transaction Date (Business Date)	ტრანზაქციის გატარების თარიღი
2	Transaction Code	კოდი, რომლითაც მოხდება გადახდის ტიპის იდენტიფიცირება
3	Folio Sequence Number (internal, unique)	აღნიშნული რეკვიზიტის ჭრილში ერთიანდება მონაცემები და იქმნება 1 დოკუმენტი.
4	Payer AR Number	გადამხდელის იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
5	Guest AR Number	სტუმრის იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
6	Guest Profile Number (internal, unique)	გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ Guest AR Number არ არსებობს მყიდველისთვის.
7	Travel Agent AR Number	სააგენტოს იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად

8	Company AR Number	კომპანიის იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
9	Source AR Number	მყიდველის წყაროს იდენტიფიცირების კოდი, რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად
10	Original Guest Profile Name	სტუმრის იდენტიფიცირების დასახელება რომელიც ბალანსში აისახება მყიდველად.
11	Transaction Amount	გადახდილი თანხა, დადებითი ნიშნით თანხა ნიშნავს თანხის გადახდას, უარყოფითი ნიშნით თანხა ნიშნავს თანხის უკან დაბრუნებას.

გადახდების ფაილის ექსელით შეტვირთვისას შეიქმნება შემდეგი დოკუმენტები:

- სალაროს შემოსავლის ორდერი
- სალაროს გასავლის ორდერი
- საბანკო ბარათით გადახდის ოპერაცია
- ტიპიური ოპერაცია

დოკუმენტის ტიპი კი განისაზღვრება გადახდის ტიპის მიხედვით.